

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის  
ოქმი N17

ქ. ლანჩხუთი

26 აგვისტო, 2011 წელი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა რევაზ ჩიტაძე — მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ზვიად აფხაზავა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე დავით ჩხაიძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გია ორაგველიძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გოჩა ჯანაშია, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე პაატა ფირცხალაიშვილი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ილო გვარჯალაძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე მერაბ წილოსანი.

მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი ნუგზარ ღლონტი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციის სამსახურის მთ. სპეციალისტი ნინო მშვიდლობაძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი ლია იმნაძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი ზაზა ქავზინაძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური შესყიდვების და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი მაია აფხაზავა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანიზაციისა

და არქიტექტურის სამსახურის უფროსი სოსო ჩხაიძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმიანობის სამსახურის უფროსი მკა გოგიჩაიშვილი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი პირები.

სხდომის თავმჯდომარე რევაზ ჩიტაძემ ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2011 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 24 დეკემბრის N50 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე კომისიებისა და ფრაქციების მიერ წარმოდგენილი შენიშვნებისა და დასკვნების განხილვა და აღნიშნული პროექტის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 2 სექტემბრის სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის შესახებ.

*/მომხსენებელი პ. ფირცხალაიშვილი/*

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2011 წლის ადგილობრივი შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 31 მარტის N41 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტზე კომისიებისა და ფრაქციების მიერ წარმოდგენილი შენიშვნებისა და დასკვნების განხილვა და აღნიშნული პროექტის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 2 სექტემბრის სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის შესახებ.

*/მომხსენებელი პ. ფირცხალაიშვილი/*

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღებისა და გარე რეკლამის განთავსების ნებართვის მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე კომისიებისა და ფრაქციების მიერ წარმოდგენილი შენიშვნებისა და დასკვნების

განხილვა და აღნიშნული პროექტის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 2 სექტემბრის სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი მ. წილოსანი/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მიმდინარე სამშენებლო სამუშაოების ან მშენებლობის ეტაპის მშენებლობის ნებართვით დადგენილ ვადაში დაუსრულებლობის შემთხვევაში ჯარიმის ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე კომისიებისა და ფრაქციების მიერ წარმოდგენილი შენიშვნებისა და დასკვნების განხილვა და აღნიშნული პროექტის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 2 სექტემბრის სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი მ. წილოსანი/

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების, შესახვევების, ჩიხების, მრავალბინიანი სახლების სადარბაზოებისა და ბინების ნუმერაციის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე კომისიებისა და ფრაქციების მიერ წარმოდგენილი შენიშვნებისა და დასკვნების განხილვა და აღნიშნული პროექტის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 2 სექტემბრის სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი ი. გვარჯალაძე/

6. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გვიმბალაურის ადმინისტრაციული ერთეულის ქუჩების სახელდებისა და ნუმერაციის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე კომისიებისა და ფრაქციების მიერ წარმოდგენილი შენიშვნებისა და დასკვნების განხილვა და აღნიშნული პროექტის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 2 სექტემბრის სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის შესახებ

/მომხსენებელი მ. წილოსანი/

7. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 24 დეკემბრის N94 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტზე კომისიებისა და ფრაქციების მიერ წარმოდგენილი შენიშვნებისა და დასკვნების განხილვა და აღნიშნული პროექტის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 4 თებერვლის სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი გ. ჯანაშია/

#### 8. სხვადასხვა.

ბიუროს წევრების მიერ დღის წესრიგის პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარე რევაზ ჩიტინძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

**მომხრე 8, წინააღმდეგი არცერთი.**

**დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2011 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 24 დეკემბრის N50 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე პაატა ფირცხალაიშვილმა ბიუროს სხდომას გააცნო კომისიის დასკვნა. (თან ერთვის.დანართი N1). მან აღნიშნა, რომ კომისიის წევრების მიერ არ იქნა გაზიარებული დადგენილების პროექტით გათვალისწინებული ცენტრალურ მაგისტრალზე ვიდეო-დანადგარების მონტაჟისათვის 100 000 ლარის გამოყოფა. დადგენილების პროექტს მხარი დაუჭირა კომისიის ორმა წევრმა.

კომისიამ გაითვალისწინა, რომ დადგენილების პროექტის არ მიღება გამოიწვევდა რიგი საკითხებისა და მათ შორის სოციალური პროგრამის გაჭიანურებას რის გამოც მათ დაუჭირეს მხარი დადგენილების პროექტს, ცენტრალურ მაგისტრალზე ვიდეო დანადგარების მონტაჟისთვის გამოყოფილი 100 000 ლარის გარეშე, ამასთან კომისის

რამდენიმე წევრმა საჭიროდ ჩათვალა აღნიშნული ხარჯის დამატებითი შესწავლა, დაზუსტება და არგუმენტირებულად დასაბუთებული დასკვნის წარმოდგენა.

საკითხთან დაკავშირებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო სამსახურის უფროსმა როლანდ ლაშხიამ აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მიერ აღებული სხვადასხვა ვალდებულებების გარდა აუცილებელია დამატებით განსახორციელდეს სხვადასხვა ღონისძიებები, ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვითი ნაწილის ანალიზიდან გამომდინარე შესაძლებელია, გაიზარდოს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავალი, კერძოდ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადი 6700 ლარით და მიიმართოს:

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საერთო სარგებლობის ინტერნეტ-მომსახურების ქსელის ექსპლოატაციასთან დაკავშირებით ხარჯების დასაფინანსებლად, 3500 ლარის ოდენობით.
2. სახანძრო-სამაშველო სამსახურის მივლინების ხარჯების 3200 ლარით შესავსებად.

საქართველოს მთავრობის 2011 წლის 1 აპრილის N735 განკარგულებით „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი იყო 500 000 ლარიდან, ტენდერების საშუალებით მიღებული ეკონომიის თანხა უნდა მიიმართოს ქ.ლანჩხუთის ტერიტორიაზე ხიდების მოსაწყობად. აღნიშნული თანხიდან ქუჩების რეაბილიტაციაზე მიმართული თანხის ტენდერის შედეგად მიღებული ეკონომიის 5 622 ლარით შემცირების ხარჯზე, გაიზარდოს მუნიციპალიტეტის ხიდების სარეაბილიტაციოდ მიმართული დაფინანსება 5 622 ლარით.

დადგენილების პროექტთან დაკავშირებით საკრებულოს თავმჯდომარე რევაზ ჩიტბემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი განხილულ იქნა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სხდომაზე. ფრაქციის წევრების აბსოლუტურმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა პროექტს. მანვე აღნიშნა, რომ რადგან საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიაზე კომისიის წევრების მიერ მაგისტრალზე ვიდუო-დანადგარების მონტაჟისათვის 100 000 ლარის გამოყოფაზე დაფიქსირდა განსხვავებული აზრი, მიზანშეწონილია კომისიის მიერ გამოთქმულ შენიშვნასთან დაკავშირებით გამგეობის საფინანსო სამსახურმა შესაბამის სამსახურთან ერთად უმოკლეს ვადაში წარმოადგინოს დამატებით განმარტებითი ბარათი, ხოლო საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე პაატა ფირცხალაიშვილმა

უზრუნველყოს წარმოდგენილი პროექტის დამატებით კომისიური წესით განხილვა 2011 წლის 2 სექტემბრამდე.

ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე დავით ჩხაიძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტს ფრაქციის სხდომაზე მხარი დაუჭირა ფრაქციის წევრთა უმრავლესობამ, გარდა დეპუტატ ამირან გიგინეიშვილისა(მომხრე 14, წინააღმდეგი ერთი). ფრაქცია აუცილებლად და მიზანშეწონილად მიიჩნევს მაგისტრალზე ვიდუო–დანადგარების მონტაჟისათვის 100 000 ლარის გამოყოფას.

ბიუროს წევრების მიერ საკითხთან დაკავშირებით სხვა მოსაზრებები არ დაფიქსირებულა.

#### **ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:**

1) საფინანსო–საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის მიერ გამოთქმულ შენიშვნასთან დაკავშირებით გამგეობის საფინანსო სამსახურმა შესაბამის სამსახურთან ერთად უმოკლეს ვადაში წარმოადგინოს დამატებით განმარტებითი ბარათი, ხოლო საფინანსო–საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე პაატა ფირცხალაიშვილმა უზრუნველყოს წარმოდგენილი პროექტის დამატებით კომისიური წესით განხილვა 2011 წლის 2 სექტემბრამდე.

2) საკითხი შეტანილ იქნას 2011 წლის 2 სექტემბრის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

3) მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია.

სხდომის თავმჯდომარე რევაზ ჩიტინძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს:

#### **მომხრე 8, წინააღმდეგი არცერთი.**

**დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2011 წლის ადგილობრივი შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 31 მარტის N41 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე პაატა ფირცხალაიშვილმა ბიუროს სხდომას გააცნო კომისიის დასკვნა.(თან ერთვის.დანართი N1).

საკითხთან დაკავშირებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური შესყიდვების და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა მანა აფხაზავამ აღნიშნა, რომ შესყიდვების გეგმის ცვლილების პროექტში ასახულია ადგილობრივი ბიუჯეტის გეგმაში განხორციელებული ცვლილებები. კერძოდ: ადგილობრივი შემოსავლების ზრდის ხარჯზე 8850 ლარით გაიზარდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესყიდვების გეგმა. 2970 ლარით გაიზარდა მუნიციპალიტეტის გამგეობის შესყიდვების გეგმა. ქალაქ ლანჩხუთში პოლიციის ადმინისტრაციული შენობის შიდა ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოების სავადაუდო ღირებულება შემცირდა 6380 ლარით, პოლიციის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე ტერიტორიასთან გზის რეაბილიტაციის სამუშაოების ღირებულება შემცირდა 10060 ლარით, 35000 ლარით შემცირდა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის სარემონტო სამუშაოების სავარაუდო ღირებულება. წვევამდელთა ტრანსპორტირების სავარაუდო ღირებულება გაიზარდა 6000 ლარით, ხოლო რეზერვისტთა ტრანსპორტირების სავარაუდო ღირებულება გაიზარდა 3000 ლარით. 100000 ლარით განისაზღვრა საგზაო დანიშნულებით ვიდეო აპარატურის შესყიდვის სავარაუდო ღირებულება.

ადგილობრივ ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად შესყიდვების გეგმაში დამატებით განხორციელდა შემდეგი ცვლილებები: 2500 ლარი გათვალისწინებულ იქნა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში ინტერნეტის ქსელის მოსაწყობად ქსელის „ინტერფეისის“ შექმნისათვის. ამავე დანიშნულებით 1000 ლარით გაიზარდა მაგიდის კომპიუტერის (სამართავი პულტის) სავარაუდო ღირებულება.

შესყიდვების გეგმაში შეიცვალა საქართველოს მთავრობის 2011 წლის 1 აპრილის №735 (დანართი №2) განკარგულებით გამოყოფილი 500000 ლარით განსაზღვრული სამუშაოების შესყიდვის ობიექტების სავარაუდო ღირებულებები. კერძოდ; ელექტრონული ტენდერის ჩატარების შემდეგ მიღებული ეკონომიის შესაბამისად 5622 ლარით შემცირდა ს.ს გურიის სამხარეო მთავარი სამმართველოს ლანჩხუთის რაიონული სამმართველოს მშენებარე ადმინისტრაციული შენობის და არსებული სასტუმროს შენობის მიმდებარე გზების რეაბილიტაციის სამუშაოების სავარაუდო ღირებულება. აღნიშნული თანხა მიმართული იქნება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხიდების რეაბილიტაციისათვის.

**ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:**

1) განკარგულების პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად შეტანილ იქნას საკრებულოს 2011 წლის 2 სექტემბრის სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

2) მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი მაია აფხაზავა.

3) საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე პაატა ფირცხალაიშვილმა უზრუნველყოს წარმოდგენილი პროექტის დამატებით კომისიური წესით განხილვა, მაგისტრალზე ვიდეო-დანადგარების მონტაჟისათვის 100 000 ლარის გამოყოფასთან დაკავშირებით, 2011 წლის 2 სექტემბრამდე.

სხდომის თავმჯდომარე რევაზ ჩიტინძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს:

**მომხრე 8, წინააღმდეგი არცერთი.**

**დღის წესრიგის შესამე საკითხთან დაკავშირებით** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღებისა და გარე რეკლამის განთავსების ნებართვის მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტზე შენიშვნები სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ, მერაბ წილოსანმა. მანვე გააცნო კომისიის დასკვნა. (თან ერთვის.დანართი N2).

საკითხთან დაკავშირებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსმა შოთა ჩაგუნავამ აღნიშნა, რომ სამსახური ეთანხმება კომისიის წევრების მიერ საკითხთან დაკავშირებით გამოთქმულ შენიშვნებს და მოხდება მათი გათვალისწინება დადგენილების პროექტის დაზუსტებულ ვარიანტში.

საკითხთან დაკავშირებით ბიუროს წევრების მიერ სხვა შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

**ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:**

1) დადგენილების პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად შეტანილ იქნას საკრებულოს 2011 წლის 2 სექტემბრის სხდომის დღის წესრიგის პროექტში.



2) მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა.

სხდომის თავმჯდომარე რევაზ ჩიტაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს:

**მომხრე 8, წინააღმდეგი არცერთი.**

**დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მიმდინარე სამშენებლო სამუშაოების ან მშენებლობის ეტაპის მშენებლობის ნებართვით დადგენილ ვადაში დაუსრულებლობის შემთხვევაში ჯარიმის ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ დადგენილების პროექტზე შენიშვნები სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ, მერაბ წილოსანმა. მანვე გააცნო ცხდომას კომისიის დასკვნა. (თან ერთვის.დანართი N2).

საკითხთან დაკავშირებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე რევაზ ჩიტაძემ მიზანშეწონილად მიიჩნია კომისიის გადაწყვეტილება, რომ ჯარიმის ოდენობა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე განისაზღვრა მინიმალური ტარიფით ასაშენებელი შენობა-ნაგებობის საერთო ფართის თითოეულ კვ.მ. 0,1 ლარის ოდენობით, რაც ისედაც საკმაოდ სოლიდურ თანხას წარმოადგენს.

საკითხთან დაკავშირებით ბიუროს წევრების მიერ შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

**ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:**

1) დადგენილების პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად შეტანილ იქნას საკრებულოს 2011 წლის 2 სექტემბრის სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

2) მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა.

სხდომის თავმჯდომარე რევაზ ჩიტაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს:

**მომხრე 8, წინააღმდეგი არცერთი.**

**დღის წესრიგის მეხუთე საკითხთან დაკავშირებით** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების, შესახვევების, ჩიხების, მრავალბინიანი სახლების სადარბაზოებისა და ბინების ნუმერაციის წესის დამტკიცების შესახებ“

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ილო გვარჯალაძემ ბიუროს სხდომას გააცნო კომისიის დასკვნა. (თან ერთვის.დანართი N3). მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მიმართ კომისიის სხდომაზე წევრების მიერ მნიშვნელოვანი შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკითხთან დაკავშირებით ბიუროს წევრების მიერ შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

#### **ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:**

1) დადგენილების პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად შეტანილ იქნას საკრებულოს 2011 წლის 2 სექტემბრის სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

2) მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა.

სხდომის თავმჯდომარე რევაზ ჩიტინიძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს:

#### **მომხრე 8, წინააღმდეგი არცერთი.**

**დღის წესრიგის მეექვსე საკითხთან დაკავშირებით** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გვიმბალაურის ადმინისტრაციული ერთეულის ქუჩების სახელდებისა და ნუმერაციის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ილო გვარჯალაძემ ბიუროს სხდომას გააცნო კომისიის დასკვნა. (თან ერთვის.დანართი N3).

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე რევაზ ჩიტინიძემ საკითხი მიიჩნია არასრულყოფილად, რადგან სოფლის რწმუნებულის მიერ წარმოდგენილი ქუჩების სახელწოდებების ჩამონათვალში არ არის დეტალურად გაშიფრული და დასაბუთებული თითოეული სახელდება. სახელდების საფუძველი. გაურკვეველია ზოგიერთი პიროვნების ვინაობა, ვისი სახელიც ენიჭება ამა თუ იმ ქუჩას.

საკრებულოს თავმჯდომარის რევაზ ჩიტინიძის განმარტებით საკითხი საკრებულოს სხდომაზე განხილვამდე უნდა შეთანხმდეს სამთავრობო კომისიასთან (თავმჯდომარე – რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი რამაზ ნიკოლაიშვილი). მან დაავალა გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანიზაციისა და არქიტექტურის სამსახურს (ს. ჩხაიძე) შესაბამისი ტერიტორიული ერთეულის რწმუნებულთან ერთად წარმოადგინოს დაწუსტებული და დეტალური ინფორმაცია ცალკეული ქუჩების

სახელდებასთან დაკავშირებით, ხოლო იურიდიულმა სამსახურმა მოამზადოს მასალები სამთავრობო კომისიაში წარსადგენად.

**ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:**

1) დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შესაბამისმა სამსახურებმა დააზუსტონ სამთავრობო კომისიასთან საკითხის შეთანხმების პირობები, ასევე ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულთან ერთად მომდევნო ბიუროს სხდომაზე წარმოადგინონ დეტალური დასკვნა ცალკეული ქუჩების სახელდებასთან დაკავშირებით. სხდომის თავმჯდომარე რევაზ ჩიტინძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს:

**მომხრე 8, წინააღმდეგი არცერთი.**

**დღის წესრიგის მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 24 დეკემბრის N94 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გოჩა ჯანაშიამ ბიუროს სხდომას გააცნო კომისიის დასკვნა.(თან ერთვის.დანართი N4). მან აღნიშნა, რომ კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ განკარგულების პროექტის პირველი მუხლის „ა“ პუნქტიდან და დანართის სათაურიდან ამოღებულ იქნას ქალაქის დასახელება. აგრეთვე დასახვეწია მეხუთე მუხლის მე-2, მე-3, მე-4, მე-5 პუნქტები.

საკითხთან დაკავშირებით ბიუროს წევრების მიერ სხვა შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

**ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:**

1) განკარგულების პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად შეტანილ იქნას საკრებულოს 2011 წლის 2 სექტემბრის სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

2) მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმიანობის სამსახურის უფროსი მანია გოგიჩაიშვილი.

სხდომის თავმჯდომარე რევაზ ჩიტინძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს:

**მომხრე 8, წინააღმდეგი არცერთი.**

## სხვადასხვა

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გია ორაგველიძემ დააყენა საკითხი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ამერიკული „თეთრი პეპლის“ მე-2 თაობის მატლების გავრცელების შესახებ. მან აღნიშნა, რომ არ არსებობს მუნიციპალიტეტში დასახლებული პუნქტი, სადაც აღნიშნული მატლების გავრცელების ხარისხი არ იყოს ძალზე დიდი. ამერიკული „თეთრი პეპლის“ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები არ არის საკმარისი. რიგ დასახლებულ პუნქტებში საერთოდ არ მომხდარა შეწამვლა. სალიკვიდაციო ღონისძიებების გატარების ვადები უკვე იწურება, კლიმატური პირობები კი (მაღალი სიცხე და ჭარბი ტენი) ხელსაყრელია აღნიშნული მატლების გამრავლებისათვის. მან დააყენა საკითხი, რომ მოსახლეობის მოთხოვნის შესაბამისად სურსათის უვნებლობისა და ვეტერინარიის სამსახურმა რამდენიმე დღით გადასცეს მოსახლეობას „სოლო“ ტიპის აპარატები, ხოლო მოსახლეობა წამლითა და მუშახელით შესაბამისად უზრუნველყოფს სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელებას.

საკრებულოს თავმჯდომარე რევაზ ჩიტიძემ აღნიშნა, რომ საკითხი დასმულ იქნა გურიის სამხარეო გუბერნატორი–რწმუნებულის ვალერი ჩიტაიშვილის წინაშე, რომელმაც თხოვნით მიმართა სოფლის მეურნეობის მინისტრს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტისათვის დამატებით „ტიფას“ ტიპის ორი დანადგარის გამოყოფის შესახებ.

საკრებულოს თავმჯდომარე რევაზ ჩიტიძემ დაავალა გამგებლის მოადგილე გიორგი ჭყონიას გაარკვიოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში თუ რა ეტაპზეა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტისათვის აღნიშნული აპარატების გამოყოფის საკითხი.

2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე მერაბ წილოსანმა დააყენა საკითხი აფხაზეთსა და სამაჩაბლოს ომში გარდაცლილთა ოჯახებისათვის, დევნილებისთვის, ვეტერანებისათვის, შეჭირვებულ ოჯახთა გარკვეული კატეგორიისათვის საშემე მერქნით გამოყოფის აუცილებლობის შესახებ.

მუნიციპალიტეტის გამგეობის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა

საქმიანობის სამსახურის უფროსმა მაია გოგიჩაიშვილმა განმარტა, რომ ტერიტორიული მთლიანობისათვის აფხაზეთსა და სამაჩაბლოში დაღუპულთა ოჯახების რაოდენობა მუნიციპალიტეტში შეადგენს 34(ოცდათოთხმეტი), რომელთაც ყოველთვიურად დახმარების სახით ეძლევათ 50(ორმოცდაათი) ლარი, მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებს ეძლევათ ერთჯერადი დახმარება 50(ორმოცდაათი) ლარი, შეჭირვებულ ოჯახებს საშემე მერქნისთვის ერთჯერადად ეძლევათ 70(სამოცდაათი) ლარი, მრავალშვილიანთა ოჯახებს ყოველთვიურად 100(ასი) ლარი.

საკრებულოს თავმჯდომარე რევაზ ჩიტაძემ დაავალა სამსახურის ხელმძღვანელს (მ. გოგიჩაიშვილი) შეიმუშაოს ომის მონაწილეთა ოჯახებისათვის საშემე მერქნით უზრუნველყოფის პროგრამა.

**ორგანიზაციულ საკითხებზე ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:**

1) სხდომის დის წესრიგის პროექტში შეტანილი საკითხების განხილვისას თანამომხსენებლად განისაზღვროს სამართლებრივი აქტის პროექტზე განხილვისათვის განსაზღვრული ძირითადი კომისიის თავმჯდომარე.

2) დაევალოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს (დონარა დოლიძე), საკრებულოს მიერ განსახილველი სამართლებრივი აქტების პროექტების დაგზავნის და დადგენილი წესით გამოქვეყნების ორგანიზაციული უზრუნველყოფა.

**ამით ბიუროს სხდომამ მუშაობა დაასრულა.**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე:

რევაზ ჩიტაძე

საკრებულოს აპარატის უფროსის

მოვალეობის შემსრულებელი:

დონარა დოლიძე

შემსრულებელი:

საკრებულოს მთ.სპეციალისტი საოქმო

და საორგანიზაციო საკითხებში

მაია კეკელიძე

